12. 09. 2022 ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო/ბატონო

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

2021 წლის 21 ოქტომბერს პირდაპირ ეთერში იოსებ ხახალეიშვილმა თქვა, რომ ქუთაისში ისტორიული საცხოვრებელი უბნის რეაბილიტაციის პროექტი გაგრძელდება და მხარეებს შორის შეთანხმება მიღწეულია. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, გვიპასუხოთ:

- რის საფუძველზე გააკეთა მერმა აღნიშნული განცხადება;
- რა კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდა/ხორციელდება პროექტის გაგრძელების მიზნით;
- მხარეებს შორის დავა გაჭიანურდა. ამიტომ, გეგმავს, თუ - არა მერია საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადებას, თუ გეგმავს, როდის და რა იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულება;
- თუ გაგქვთ დაგეგმილი, რომელ წელს უნდა დაიწყოთ პროექტის განხორციელება?
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლებიდან, რამდენი ოჯახია გაყვანილი ქირით;
- რა მოცულობის თანხაა გადახდილი ქირის სახით ოჯახების გაყვანის დღიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, წლების მიხედვით.

გთხოვთ, ინფორმაცია გამოგვიგზავნოთ ელექტრონულად, ქვემოთ მითითებულ მეილზე.

გმადლობთ წინასწარ.
პატივისცემით,

ნაზიბროლა რეხვიაშვილი
პ/ნ 62011003485
მისამართი:
ბათუმი, წერეთლის ქ. 6, ბ. 43, ტელ. 557 20 00 01, editorrekhviashvili@gmail.com